

ზურაბ ჭყონიამ 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის, ასევე საავიაციო უნივერსიტეტებში. 2011 წლიდან არჩეულ იქნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე კერძო სამართლის სპეციალობით. ზურაბ ჭყონია არის არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი და მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. მუშაობს სადოქტორო თემაზე „სასამართლოს როლი სააღსრულებო წარმოებაში.“ 1992 წლიდან მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2001 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას და არის „იურიდიული ფირმა ჭყონია და კომპანია“-ს მმართველი პარტნიორი. 2014 წლის აპრილიდან არჩეულ იქნა ა(ა)იპ „სამართლის მეცნიერთა კავშირი“-ს თავმჯდომარედ. 2012 წლიდან დააფუძნა „კავკასიის ადვოკატთა სკოლა CLS.“ ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალობით. 2015 წლის მარტიდან არის ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „სამართალი და მსოფლიო“-ს მთავარი რედაქტორი. 2016 წლის ივლისიდან არჩეულ იქნა ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კერძო სამართლის სპეციალობით. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.